ოქმი N 13

ხობის მუნიციპალიტეტის მეოთხე მოწვევის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა

კომისიის სხდომისა

ქ. ხობი 2018 წლის 21 სექტემბერი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1. დავით ბერაია
2. მერაბ ფილიპია
3. კობა გოქაძე
4. აკაკი ხურცილავა
5. გია წულაია
6. გოჩა ჯობავა
7. ლაშა ცატავა
8. თემურ გულუა

სხდომას თავმჯდომარეობდა დ. ბერაია - კომისიის თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს რეგიონებსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტის 2018 წლის 19 სექტემბრის N435 წერილის განხილვა -„ხობის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2018–2019 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 31 ივლისის N36 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

(მომხსენებელი: დ. ბერაია - კომისიის თავმჯდომარე)

2. არასამთავრობო ორგანიზაცია „დემოკრატიის ინსტიტუტის“ 2018 წლის 10 ივლისის N347 წერილის განხილვა - „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 18 დეკემბრის N59 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

(მომხსენებელი: დ. ბერაია - კომისიის თავმჯდომარე)

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

წინააღმდეგი - არც ერთი

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით.

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხების განხილვა

1. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს რეგიონებსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტის 2018 წლის 19 სექტემბრის N435 წერილის განხილვა -„ხობის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2018–2019 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 31 ივლისის N36 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

(მომხსენებელი: დ. ბერაია - კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2018 წლის 31 ივლისს მიღებულ იქნა N36 განკარგულება „ხობის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2018–2019 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ". ზემო აღნიშნულ განკარგულებასთან დაკავშირებით, როგორც ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, ასევე ქვეყნის მასშტაბით მუნიციპალიტეტების საკრებულოებს საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროდან მიეცა რეკომენდაცია განკარგულების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „ხობის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის 2018–2019 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ". ზემო აღნიშნული რეკომენდაციის საფუძველზე მომზადდა განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2018–2019 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 31 ივლისის N36 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე".

ზემო აღნიშნულის გათვალისწინებით გამომსვლელმა მიზანშეწონილად მიიჩნია განკარგულების პროექტის ინიციირების წესით წარდგენა განმარტებით ბარათთან ერთად.

კომისიის წევრების მხრიდან შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებებს.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

წინააღმდეგი - არც ერთი

დაადგინეს: - განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2018–2019 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 31 ივლისის N36 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ინიციირების წესით, განმარტებით ბარათთან ერთად წარდგენილ იქნეს საკრებულოს თავმჯდომარის სახელზე.

2. არასამთავრობო ორგანიზაცია „დემოკრატიის ინსტიტუტის" 2018 წლის 10 ივლისის N347 წერილის განხილვა - „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 18 დეკემბრის N59 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

(მომხსენებელი: დ. ბერაია - კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2017 წლის 18 დეკემბერს მიღებულ იქნა N59 დადგენილება „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ". რეგლამენტის მე-100 მუხლით განისაზღვრა პეტიციასთან დაკავშირებული პროცედურულ საკითხები. აღნიშნულ მუხლთან დაკავშირებით არასამთავრობო ორგანიზაცია „დემოკრატიის ინსტიტუტის" მიერ შემოთავაზებულ იქნა რეკომენდაციები, რომელთა გარკვეული ნაწილის გათვალისწინებით მომზადდა დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 18 დეკემბრის N59 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე". ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტში განხორციელებული ცვლილებების თანახმად ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოში პეტიციის წარმდგენი ამომრჩევლების სიის ბლანკში შეტანილ უნდა იქნა შესაბამისი ცვლილება. აღნიშნულიდან გამომდინარე მომზადდა დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოში პეტიციის წარმდგენი ამომრჩევლების სიის ბლანკის, პეტიციის ფორმის და პეტიციის განხილვის

თაობაზე განცხადების რეგისტრაციის მოწმობის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 თებერვლის N4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, გამომსვლელმა მიზანშეწონილად მიიჩნია დადგენილების პროექტების ინიციირების წესით წარდგენა განმარტებით ბარათთან ერთად.

კომისიის წევრების მხრიდან შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებებს.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

წინააღმდეგი - არც ერთი

დაადგინეს: - დადგენილების პროექტები „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 18 დეკემბრის N59 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოში პეტიციის წარმდგენი ამომრჩევლების სიის ბლანკის, პეტიციის ფორმის და პეტიციის განხილვის თაობაზე განცხადების რეგისტრაციის მოწმობის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 თებერვლის N4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ინიციირების წესით, განმარტებით ბარათთან ერთად წარდგენილ იქნეს საკრებულოს თავმჯდომარის სახელზე.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე დავით ბერაია